



# სეხნიეზის ნონეტეზი და ჩვენ







**აკაკი** ბიძინაშვილი, **გიორგი** საძაგლიშვილი,
**ვახტანგ** ჭანკოტაძე, **თამარ** ლომსაძე, **მერი** მარწყვიშვილი,
**ნინო** ამბროლაძე, **ნიკოლოზ** ოთინაშვილი,
**სოფიკო** მექვაბიშვილი, **შალვა** მურადაშვილი

# სეხნიების ნონეტები და ჩვენ

გორი, 2021

სხვადასხვა ნაწარმოებებიდან ცალკეული ფრაგმენტების გამოყენებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ: გ. გეგეჭკორს, ლ. დოლიძეს, ი. ბიჭიკაშვილს, გ. მღებრიშვილს, ბიოგრაფიული ცნობარის („ვინ ვინაა საქართველოში") ავტორებს და სხვებს.

**ავტორთა ჯგუფი**

რედაქტორი

**დ. ჭანკოტაძე**

კორექტორი

**ნ. ამბროლაძე**

კომპ. უზრუნველყოფა

**შ. მურადაშვილი**

# წინასიტყვაობა

ერთ (როგორც იტყვიან ხოლმე) მშვენიერ დღეს, ტრადიციულ, ქართულ, საოჯახო სუფრას შემოვუსხედით ახლობელ–მეგობარ–კოლეგები.

ენაწყლიანმა, საოცრად მუსიკალურმა და ორატორული ნიჭით დაჯილდოებულმა თამადამ ჩვეულებრივ დიდი სიამოვნება მოგვანიჭა და მრავალი საამოდ მოსასმენი და გულში ჩამოწვდომი სადღეგრძელოს შემდეგ დასასრულისკენ წაიყვანა საკმაოდ აჴმაურებული და ცეკვა–სიმღერით დაღლილი მოქეიფეთა გუნდი.

ახლა კი, ნება მომეცით (წამოიწყო თამადამ ერთხელ კიდევ) ვადღეგრძელო მშვენიერი ნონეტი და სიკეთე და წარმატება ვუსურვო...

სუფრის რამდენიმე წევრმა ცნობისმოყვარეობით გადახედა ერთმანეთს და კითხვის ნიშანი აუკიაფდათ თვალებში...

თამადამ შეამჩნია ყოველივე და განმარტა – „ნონეტი“ იტალიური წარმოშობის სიტყვაა და ცხრას ნიშნავსო... აბა, თვალი გადაავლეთ სუფრას, ჩვენც ხომ ცხრანი ვართ და ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენს „ნონეტს“ გაუმარჯოსო – წარმოთქვა ამაღლებული პათოსით და გამოცალა ჯამი.

გავიხარეთ და ერთიმეორის მიყოლებით ჩვენც გამოვცალეთ ჩვენი კუთვნილი ჯამები.

იქვე, სანამ სუფრა აიშლებოდა და მასპინძელს დავემშვიდობებოდით, დაიბადა იდეა, რომ ყოველ ჩვენგანს მოეძებნა, გაეხსენებინა თავისი ცხრა სახელოვანი და საამაყო სეხნია და ერთი თვის განმავლობაში წარმოედგინა მათი მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები და სურათი იმ მიზნით, რომ მოგვემზადებინა, გამოგვეცა და მომავალი თაობებისთვის მოგვეძღვნა პატარა მოცულობის წიგნი.

ადამიანებს (განსაკუთრებით ჩვენ, ქართველებს) მრავალ საინტერესო და ეროვნულად ღირებულ ტრადიციებს შორის

გვაქვს ერთი ასეთიც – ახალშობილთათვის სახელის შერჩევის პროცესში ჩვენი ყურადღება მიპყრობილია წარსულში თუ აწმყოში სახელოვანი და ღვაწლმოსილი მამულიშვილებისაკენ.

ამიტომაცაა, რომ წლიდან წლამდე, საუკუნიდან საუკუნემდე მეორდება მართლაც რომ ისტორიული და საამაყო სახელები — ნინო, დავითი, თამარი, გიორგი, მერი, ნიკოლოზი (ნიკო), სოფიო, ვახტანგი, აკაკი და ა.შ.

ნურასოდეს შეწყვეტილიყოს ამ სახელების დარქმევის პროცესი, დაე, იმრავლოს ქართველმა ერმა და ღირსეული მამულიშვილების თანამოსახელეებმა (სეხნიებმა).

სუფრასთან მყოფებმა (ერთმა ნონეტმა) შევასრულეთ დათქმული სიტყვა და მკითხველს (განსაკუთრებით მომავალ თაობებს) ვთავაზობთ ჩვენი სახელგანთქმული სეხნიების ნონეტებს,

დაე, იცოდეს მომავალმა თაობამ – „ვისი გორისანი არიან“.

რიგით წევრობის რანგით ვითვლებით,
გვათბობს, გვახარებს მწვერვალებს ვინც ფლობს,
ამჯერად იმით ვკმაყოფილდებით,
მათ რიგში ბოლო ადგილს რომ „ვიპყრობთ“.

ფიქრი არ გვტოვებს არც ღამეს, არც დღეს,
გვწადია ვიყოთ სულ უფრო დიდი,
ეგება მოხდეს, ეგება ახდეს
მონაგარისთვის ჩვენც ვიყოთ ხიდი.

სიამოვნებით მივიღებთ შენიშვნებს, სურვილებს, რეკომენდაციებს.

**ავტორთა ნონეტი**

# აკაკი

1 აკაკი წერეთელი

2 აკაკი ხორავა

3 აკაკი ვასაძე

4 აკაკი ბელიაშვილი

5 აკაკი შანიძე

6 აკაკი ფაღავა

7 აკაკი დაუშვილი

8 აკაკი ბაქრაძე

9 აკაკი მიქაშავიძე

აკაკი ბიძინაშვილი



## 1 აკაკი წერეთელი (1840-1915)

დაიბადა სოფელ სხვიტორში, (იმერეთი) როსტომ წერეთლის ოჯახში 21 ივნისს.

ქართველი პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

დედა - ეკატერინე წერეთელი. შვილი - ალექსი წერეთელი.

ავტორია უამრავი პროზაული ნაწარმოებისა და ლირიკული ლექსის.

## 2 აკაკი ხორავა (1895-1972)

ქართველ თეატრალურ თუ კინო მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ოტელოს როლის უბადლო შემსრულებელი. ხმის საოცარი ტემბრის მქონე. შესრულებული აქვს უამრავი თეატრალური თუ კინო როლი.

დაიბადა სოფელ ოჩხამურში 29 აპრილს. განათლება მიღებული აქვს კიევის ტარას შევჩენკოს სახ. ეროვნულ უნივერსიტეტში. სსრკ-ს სახალხო არტისტი. მრავალი ორდენისა და პრემიის მფლობელი. იყო თბილისის თეატრალური ინსტიტუტის დირექტორი.

დაკრძალულია თბილისში.



## 3 აკაკი ვასაძე (1899-1978)



აკაკი ვასაძე ამშვენებდა ქართული თეატრის სცენას და მხატვრულ თუ დოკუმენტურ კინოს.

აკაკი ვასაძე დაიბადა ქ. ქუთაისში, 6 აგვისტოს ალექსი ვასაძის ოჯახში.

ოდნავ უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ აკაკი ვასაძეს უფრო კარგად გამოსდიოდა ე.წ. უარყოფითი ხასიათის პერსონაჟების როლები. მან შექმნა მართლაც რომ დასამახსოვრებელი სახეები: შაჰ-აბასი (კ/ფ „გიორგი სააკაძე“) და იაგო (სპექტაკლი „ოტელო“). მინიჭებული ჰქონდა სახალხო არტისტის წოდება.

გარდაიცვალა 3 აპრილს. დაკრძალულია თბილისში.

## 4 აკაკი ბელიაშვილი (1903-1961)



მწერალი და კინოსცენარისტი აკაკი იონას ძე ბელიაშვილი დაიბადა ქ. ჭიათურაში 1903 წლის 24 აპრილს. განათლება მიღებული ჰქონდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში.

აკაკი ბელიაშვილის კინოსცენარებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია „ოთარაანთ ქვრივს“ შექმნილს ი. ჭავჭავაძის ნაწარმოების მიხედვით.

აკაკი ბელიაშვილი გარდაიცვალა 1961 წელს. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით.

## 5 აკაკი შანიძე (1887-1987)



აკაკი გაბრიელის ძე შანიძე - ქართველი ენათმეცნიერი, დიალექტოლოგი, ფილოლოგი, ლექსიკოლოგი, რუსთველოლოგი, ფოლკლორისტი, არმენოლოგი, ალბანოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანადამფუძნებელი და აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადამფუძნებელი, სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

დაიბადა 26 თებერვალს (1887); გარდაიცვალა 29 მარტს (1987) - 100 წლის ასაკში.

უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა რუსეთში, სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში. უამრავი წიგნის, სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. აღზრდილი ჰყავს ათეულათასობით სტუდენტი.



## 6 აკაკი ფაღავა (1887-1962)

გამოჩენილი თეატრალური რეჟისორი აკაკი ნესტორის ძე ფაღავა დაიბადა 1887 წლის 27 თებერვალს. გარდაიცვალა1962 წლის 26 ივნისს.

უმაღლესი დონის ხელოვანს თავისი ორიგინალური თეატრალური დადგმებით აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი.

აკაკი ფაღავას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

## 7 აკაკი დაუშვილი

ხელოვნების ღვაწლმოსილი მუშაკი, მწერალი აკაკი დაუშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1961 წლის 9 აპრილს.

1986 წელს დაამთავრა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრა-



ლური ინსტიტუტი.
აკაკი დაუშვილი სხვადასხვა წლებში მუშაობდა – ლიტერატურულ გაზეთ „ათინათის“ მთავარ რედაქტორად; ჟურნალ „ცისკარის“ დამატების „ნობათის“ სარედაქციო საბჭოს წევრად. 2004 წლიდან დღემდე არის ქ. თელავის ლიტერატურული ჟურნალ „ოლეს“ მთავარი რედაქტორი; ნიკო ლორთქიფანიძის, დავით კლდიაშვილის და გურამ რჩეულიშვილის სახელობითი პრემიების ლაურეატი.
ფუძემდებელი და აღმასრულებელი დირექტორი ქრისტიანული პოეზიის ფესტივალისა, რომელსაც წმინდა ნინოს ჯვარი ჰქვია.
მინიჭებული აქვს ქართული მწერლობის ამაგდარის საპატიო წოდება.



## 8 აკაკი ბაქრაძე (1928-1999)

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანი აკაკი ვიქტორის ძე ბაქრაძე დაიბადა ქ. თბილისში 1928 წლის 29 მარტს. იგი გახლდათ უმაღლესი დონის კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, პუბლიცისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე.
მისი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პროზაული შრომები, მათ შორის „ნიღბების სამყაროში“.
აკაკი ბაქრაძე გარდაიცვალა 1999 წლის 5 დეკემბერს.

## 9 აკაკი მიქაშავიძე (1876-1971)

დაიბადა ზესტაფონის რაიონის სოფ. საზანოში, გლეხის ოჯახში. წლების განმავლობაში მუშაობდა დამოუკიდებელი საქართველოს რე-



სპუბლიკის სამხედრო სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე.

მინიჭებული ჰქონდა გენერლის სამხედრო წოდება. 1920 წლიდან იყო თბილისის სამხედრო კომენდანტი. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის და I მსოფლიო ომების ბატალიებში. მიღებული ჰქონდა სხვადასხვა სამხედრო ჯილდოები. მათ შორის „გიორგის ჯვარი“. დაკრძალულია ქუთაისში.



## თქვენ ხართ ჭეშმარიტი ერისკაცები!

## აკაკი ბიძინაშვილი

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, იაკობ გოგებაშვილისა და აკაკი წერეთლის პრემიების ლაურეატი, აკაკი ბიძინაშვილი დაიბადა გორის რაიონის სოფ. ბერშუეთში 1936 წ. 25 სექტემბერს. 1956 წელს დაამთავრა თბილისის №62 საშ. სკოლა, ხოლო 1962 წელს გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი.

სხვადასხვა წლებში ეწეოდა პარტიულ თუ სამეურნეო მოღვაწეობას. მონაწილეობდა ასევე პიცუნდის დასასვენებელი სახლების მშენებლობაში.

მისი პოეტური შემოქმედება გაჟღენთილია პატრიოტული და სასიყვარულო ლექსების თაიგულებით. გამოცემული აქვს ლირიკული ლექსების მრავალი კრებული. თავის 85 წლისთავს (2021 წ. 25 სექტემბერი) მიუძღვნა ლექსთა ახალი კრებული სახელწოდებით „ბროწეულის ყვავილები“.

# გიორგი

1. გიორგი V (ბრწყინვალე)
2. გიორგი საამკაძე
3. გიორგი ერისთავი
4. გიორგი მაზნიაშვილი
5. გიორგი ცაბაძე
6. გიორგი ლეონიძე
7. გიორგი კანდელაკი
8. გიორგი ანწუხელიძე
9. გიორგი უშიკიშვილი

- გიორგი საძაგლიშვილი



## 1 გიორგი V (ბრწყინვალე) ერთიანი საქართველოს მეფე (1318-1346)

გააერთიანა სამად გაყოფილი ქვეყანა; აღკვეთა ურჩი ერისთავებისა და დიდებულების თავნებობა და დაუმორჩილებლობა. ბრძოლებით დაიბრუნა ქუთაისი და სამცხე. ქ. გორიდან განდევნა ჩრდილოელი დამპყრობნი. დაიბრუნა ჯვრის მონასტერი; შექმნა სამართლის წიგნი და ასევე „ხელმწიფის კარის გარიგება“.

1322 წელს საქართველოდან განდევნა მონღოლთა ჯარი. ჩაატარა საფინანსო რეფორმა. გამოსცა ვერცხლის ფული - „გიორგაული თეთრი“. დაამყარა სამხედრო და სავაჭრო ურთიერთობები საფრანგეთთან, იტალიასთან. დიდი დამსახურებისათვის მას ქართველმა ხალხმა უწოდა „ბრწყინვალე“.



## 2 გიორგი სააკაძე (დიდი მოურავი) (1570-1629)

პოლიტიკური ლიდერი, სამხედრო პირი. დაიბადა სოფ. ხოვლეში (შიდა ქართლი, საყავრის თემი). კარგად ფლობდა სპარსულ და თურქულ ენებს. დაჯილდოებული იყო სამხედრო საქმის დიდი ცოდნით და ორგანიზატორული ნიჭით. მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში დაუღალავად იბრძოდა საქართველოს განთავისუფლებისათვის ათასი ჯურის

დამპყრობელთაგან და მამულის გასაერთიანებლად. განსაკუთრებით წარმოჩინდა, როგორც სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე ლუარსაბ II-ის მეფობის პერიოდში. ამ დროს იგი იყო თბილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავი.

გიორგი საკაძემ უამრავი ადამიანი (ქართველი) დააბრუნა თავის კერაზე. ააგო და შეაკეთა მრავალი ციხე-სიმაგრე. 1625 წელს მარტყოფის ველზე სასტიკად დაამარცხა ყიზილბაშები და შეუდგა თბილისის აღების უმნიშვნელოვანესი სტრატეგიის განხორციელებას.

გიორგი სააკაძემ სცადა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოების გაერთიანება, რასაც მოჰყვა შიდა ომი მასსა და თეიმურაზ I-ს შორის. ამ ომში გიორგი დამარცხდა და გადაიხვეწა ოსმალეთში, სადაც ღალატით მოკლეს. მისი სახელობის ქუჩები, მოედნები და მისი ძეგლები ამშვენებს საქართველოს ქალაქებსა თუ დაბებს.

## 3 გიორგი ერისთავი (1813-1864)



დრამატურგი, მთარგმნელი, პოეტი. გიორგი ერისთავი დაიბადა დუშეთის რაიონის სოფ. ოძისში.

განათლების საწყის ეტაპზე სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდეგ კი მოსკოვში, კერძო პანსიონში. დაბრუნდა სამშობლოში და მალევე ჩადგა სახელმწიფო სამსახურში.

გიორგი ერისთავის შემოქმედება მრავალფეროვანია – ავტორია მრავალი ლექსის, მოთხრობის; საფუძველი ჩაუყარა კომედიოგრაფიას; დააარსა ქართული პროფესიული თეატრი. მისი პირველი კომედია არის „შეშლილი“. მისი თხზულებების სრული კრებული გამოვიდა 1867, 1884 და 1936 წლებში.

გიორგი ერისთავი გარდაიცვალა 1864 წლის 22 სექტემბერს. დაკრძალულია იკორთის მონასტერში. მის სახელს ატარებს გორის თეატრი.



## 4 გიორგი მაზნიაშვილი (1870-1937)

გამოჩენილი მხედართმთავარი. რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1916). აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორი და შავი ზღვის სანაპირო ჯარების სარდალი. სომხურ-ქართულ ომში მოქმედი ლაშქრის სარდალი. თბილისის გენერალ-გუბერნატორი და პირველი ქართული დივიზიის უფროსი. 1918 წლიდან ქართული ჯარის მთავარსარდალი. თავდაცვის საბჭოს წევრი.

დაიბადა კასპის რაიონის სოფ. სასირეთში. რეპრესირებულია და რეაბილიტირებული.

## 5 გიორგი ცაბაძე (1924-1986)



დაიბადა ქ. თბილისში 1924 წ. 24 აგვისტოს. არტისტი, კომპოზიტორი, პედაგოგი.

დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საესტრადო სასწავლებელში, საცირკო-საესტრადო სკოლაში. იყო ფილარმონიის საესტრადო-მუსიკალური განყოფილების გამგე.

გიორგი ცაბაძის შემოქმედებაში ფართოდ არის წარმოდგენილი კომედიები, ოპერეტები, მიუზიკლები და სხვა. ნაყოფიერად იღწვოდა საესტრადო სიმღერისა და რომანსის ჟანრში. მისი სიმღერების წყაროა ქართული ქალაქური ფოლკლორი.

გიორგი (გოგი) ცაბაძე არის ქალაქური საესტრადო სიმღერის, მუსიკალური კომედიისა და მიუზიკლის ფუძემდებელი. შექმნილი აქვს 200-ზე მეტი სიმღერა.

გოგი ცაბაძეს ტიტულები და ჯილდოები: სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; კომკავშირის პრემია; ხალხთა მეგობრობის ორდენი; საპატიო ნიშნის ორდენი და სხვა უამრავი დიპლომი თუ პრიზი.

დაკრძალულია თბილისში, დიდუბის პანთეონში.

## 6 გიორგი ლეონიძე (1900-1966)



დიდი ქართველი მწერალი და პოეტი გიორგი (გოგლა) ლეონიძე დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძეულში 1900 წლის 8 იანვარს.

შვიდი წლის იყო, როცა განათლების მისაღებად მიიყვანეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში. ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა არამხოლოდ დიდი სიყვარული და ლტოლვა პოეზიისადმი, არამედ ლექსის წერის საოცარი ნიჭიც. 1913 წელს სწავლა გააგრძელა სასულიერო სემინარიაში. ამ დროისთვის უკვე პრესაში გამოჩნდა მისი ლექსები და წერილები. იგი რედაქტორობდა ხელნაწერ ჟურნალებს „გვირგვინი" და „ფანდური". დააარსა ლიტერატურული ალმანახი „საფირონი".

1922-1923 წლებში გიორგი (გოგლა) ლეონიძე რედაქტორობდა „ცისფერყანწელთა" სალიტერატურო გაზეთ „ბახტრიონს". ლეონიძის კალამს ეკუთვნის ასეულობით პოეტური შედევრი, რამაც იგი აიყვანა უმაღლეს საფეხურზე. საზოგადოებამ შეიყვარა და სათანადოდ დააფასა იგი. გიორგი ლეონიძე გახლდათ საქართველოს სახალხო პოეტი და მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდის პანთეონში.

## 7 გიორგი კანდელაკი



სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი გ. კანდელაკი დაიბადა 1974 წლის 10 აპრილს. განსაკუთრებული თანდაყოლილი, უნიკალური ფიზიკური მონაცემებისა და თავდაუზოგავი შრომის წყალობით, გიორგიმ მიაღწია მანამდე არნახულ წარმატებებს ქართველ მძიმეწონოსან მოკრივეთა რანგში. მან დაიპყრო ყველა სიმაღლე, მოიპოვა ყველა ჯილდო და სტატუსი. უბრალო ჩამონათვალი: საქართველოს და ყოფილი სსრკ-ს ჩემპიონი; ევროპის ჩემპიონი; მსოფლიოს ჩემპიონი (1997); ოლიმპიური თამაშების მედროშე; მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და სხვა.

დღესაც გიორგი კანდელაკი ჩვეული ენერგიით განაგრძობს აქტიურ მოღვაწეობას სხვადასხვა სფეროში.



## 8 გიორგი ანწუხელიძე (1984-2008)

გიორგი ანწუხელიძე დაიბადა ახმეტის რაიონის სოფ. ქვემო ალვანში 1984 წ. 18 აგვისტოს. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა.

2003-2004 წლებში გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური. 2004 წელს მონაწილეობდა ცხინვალში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტში. 2006 წლის 26 აპრილამდე იმყოფებოდა სამშვიდობო მისიის შესასრულებლად ერაყის რესპუბლიკაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩაირიცხა მეოთხე ქვეითი ბრიგადის შემადგენლობაში.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ერთ-ერთი შეტაკების დროს იგი ტყვედ ჩავარდა და წამებით მოკლეს (მან ვაჟკაცურად გაუძლო წამებას და არ შეარცხვინა საკუთარი სამშობლო და ქართველი ჯა-

რისკაცის ღირსება).

2009 წელს ფართო საზოგადოებამ იხილა მისი არაადამიანური წამების ამსახველი ვიდეოჩანაწერები.

დაკრძალულია თბილისში, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე.

2013 წლის 2 ნოემბერს „თუშების სადროშომ“ გიორგი ანწუხელიძეს მიანიჭა თუში სახალხო გმირის წოდება. გიორგის ასევე ჰქონდა მინიჭებული საქართველოს ეროვნული გმირის წოდება (სიკვდილის შემდეგ). გიორგი ანწუხელიძე დაჯილდოებული იყო თავდაცვის სამინისტროს მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“ და „ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით“ (სიკვდილის შემდეგ).

## 9 გიორგი უშიკიშვილი



დაიბადა 1978 წლის 31 მარტს ქ. ახმეტაში. დაამთავრა საშუალო სკოლა და თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი. გიორგი იყო: მოსწავლეთა სასახლის ქართული ფოლკლორის მასწავლებელი; ხალხური სიმღერების შემსწავლელი სკოლის პედაგოგი; საქართველოს ტელერადიო მაუწყებლობის ბავშვთა გუნდისა და ანსამბლ „ლაშარის“ ლოტბარი; 2004 წლიდან საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი. საუკუნის წინანდელი ჩანაწერებით აღადგინა უნიკალური ქართული ხალხური სიმღერები ანსამბლ „ლაშართან“ ერთად და გამოსცა კომპაქტ-ალბომის სახით. 2008 წელს დაარსა ქართული ფოლკლორული რადიო. 2004-2013 წწ. ხელმძღვანელობდა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს. 2013 წლიდან სამუშაოდ გადავიდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში, სადაც საავტორო ფოლკ-რუბრიკას უძღვება; მისი საშუალებით გაიცნო მსმენელმა უძველესი ავთენტური ქართული სიმღერები და ცეკვები, რომელიც 2017 წელს 250 გვერდიანი წიგნის და „დივიდის“ სახით გამოსცა, სადაც ასახულია 60 ფოლკლორული ავთენტური ანსამბლი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. მუსკალური ტელეპროექტის „მხოლოდ ქართული“-ს ჟიურის წევრი (2017), სიმღერების ანსამბლის საერთაშორისო ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი.

ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი მოღვაწეობისათვის მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, წოდება, სიგელი თუ დიპლომი, მათ შორის: „წინანდლის პრემია", „ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი" და „ღირსების ორდენი".



## ვამაყობ თქვენით!

# გიორგი საძაგლიშვილი

მუსიკალური საზოგადოების ერთ-ერთი წარმატებული და ღირსეული წარმომადგენელი გიორგი საძაგლიშვილი დაიბადა ქ. გორში.

ბატონმა გიორგიმ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა მუსიკას და საკმაოდ წარმატებულადაც. მკითხველს ვთავაზობთ მისი სტატუსებისა და თანამდებობების მოკლე ჩამონათვალს: საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობ-მომღერალი; მომღერალთა გუნდის „გორის" ლოტბარი და აკომპანიატორი, ფორტეპიანოზე სწავლების პედაგოგი; გორის №2 სამუსიკო სკოლის საგუნდო-სადირიჟორო კლასის პედაგოგი; ანსამბლ „ქარელის" ხელმძღვანელი; გორის თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგე; აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ლოტბარი და კაპელის ქორმაისტერი; ქ. თეირანი, კულტურის ინსტიტუტი (სპეცპროგრამა); კონსერვატორიის პედაგოგი (2001 წ.) და სხვა.

გიორგის დამთავრებული აქვს ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

გიორგი საძაგლიშვილი გახლავთ რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი.

# ვახტანგი

1. ვახტანგ გორგასალი
2. ვახტანგ VI
3. ვახუშტი ბატონიშვილი
4. ვახტანგ ორბელიანი
5. ვახტანგ კოტეტიშვილი
6. ვახტანგ ჭაბუკიანი
7. ვახტანგ ბალავაძე
8. ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძე
9. ვახტანგ ბოჭორიშვილი

ვახტანგ ჭანკოტაძე





## 1 ვახტანგ გორგასალი (ქართლის I მეფე)

ვახტანგ გორგასლის ფრესკა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში (საქართველო). გადმოღებულია 1840 წლის ახლოს. შემდეგ ეს სურათი ხსენებულ ეკლესიაში ჩამოირეცხა.

დაბადების ადგილი და თარიღი - მცხეთა, V საუკუნის დასაწყისი. გარდ. - უჯარმა, 502 წ. მეფობის წლები - 449-502.

წინაპარი - მირდატ VIII; დედა საგდუხტი; მეუღლე - ირანის მეფის ასული. მემკვიდრე - დაჩი უჯარმელი.



## 2 ვახტანგ VI

ქართლის მეფე. დაბ. 1675 წ. 15 სექტემბერი. მამა – ლევან ბატონიშვილი; დედა – თუთა გურიელი. დინასტია – ბაგრატიონები. მმართველობის წლები 1716-1724. წინამორბედი – იესე. მეუღლე – რუსუდან დედოფალი.

გარდაიცვალა რუსეთში, ქ. ასტრახანში 1737 წ. 26 მარტს.

შვილები: ბაქარი, ვახუშტი, გიორგი, პაატა, თამარი, ანუკა, თუთა, როსტომი.

## 3 ვახუშტი ბატონიშვილი



გეოგრაფი, კარტოგრაფი, ისტორიკოსი.

ქართლ-კახეთის სამეფო.

დაბ. თბილისი, 1696 წ.

მამა – ვახტანგ მეექვსე.

შვილები – ივანე და იოთამ ბაგრატიონები.

გარდაიცვალა მოსკოვში 1757 წელს. დაკრძალულია დონის სასაფლაოზე.



## 4 ვახტანგ ორბელიანი

გენერალ-ლეიტენანტი, ვახტანგ ორბელიანი დაიბადა თბილისში 1812 წლის 5 აპრილს.

ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაური. ყირიმისა (1853-56 წ.წ.) და რუსეთ-თურქეთის ომების თვალსაჩინო მონაწილე. 1856 წლიდან ყაბარდოს რეგიონის თერგის ოკრუგების უფროსი. 1864 წლიდან თბილისის გუბერნიის მომრიგებელი მოსამართლე. საზოგადოებაში მას აფასებდნენ ასევე როგორც წარმატებულ პოეტს.

გარდაიცვალა 1890 წელს. დაკრძალულია თბილისში.

## 5 ვახტანგ კოტეტიშვილი

ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, მოქანდაკე, ხელოვნებათმცოდნე.

დაიბადა 1893 წელს დღევანდელ თეთრიწყაროს რაიონში (დიდი



თონეთი). სწავლობდა პეტერბურგში, შემდეგ თბილისში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს ფოლკლორისა და პოეტიკის სფეროში. სწავლობდა აკადემიაში (იაკობ ნიკოლაძის ჯგუფში). კითხულობდა ქანდაკების თეორიისა და ისტორიის კურსს. იყო გაზეთ „ქართული სიტყვის" რედაქტორი.

გარდაიცვალა 1937 წლის 17 იანვარს.

## 6 ვახტანგ ჭაბუკიანი



დაიბადა ქ. თბილისში 1910 წლის 27 თებერვალს.

მამა – მიხეილი.

ვახტანგ ჭაბუკიანი – მსოფლიოში ცნობილი ბალერონი, ბალეტმეისტერი, ქორეოგრაფი, ბალეტის პედაგოგი.

გარდაიცვალა 1992 წლის 6 აპრილს.

## 7 ვახტანგ ბალავაძე

დაიბადა სამტრედიის რაიონის სოფ. ღანირში 1926 წლის 20 ნოემბერს.

თავისუფალი სტილით მოჭიდავე, ასევე სამბისტი. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი; სსრკ-ს ხუთგზის ჩემპიონი; ოლიმპიური თამაშების პრიზიო-



რი; საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული.

ახასიათებდა ჭიდაობის თავისებური, ლაღი რაინდული სტილი. იაპონიაში შეარქვეს „ჩემპიონთა ჩემპიონი", ხოლო საფრანგეთში – „ჭიდაობის პროფესორი". მრავალი ორდენისა და მედლის მფლობელი. თბილისის საპატიო მოქალაქე.

გარდაიცვალა 2018 წლის 25 ივლისს.

## 8 ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძე



მსოფლიოში ცნობილი საესტრადო მოღვაწე დაიბადა დედაქალაქ თბილისში 1938 წლის 19 ივლისს.

შესრულებული აქვს ათასობით ლირიკული სიმღერა. გადაღებულია რამდენიმე მხატვრულ ფილმში.

მსახიობი, მომღერალი, მუსიკოსი საზოგადობაში სარგებლობს უდიდესი სიყვარულით.

## 9 ვახტანგ ბოჭორიშვილი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შრომის წითელი დროშის ორდენისა და შეიარაღებული ძალების 50 წლისთავის საიუბი-



ლეო მედლის კავალერი დაიბადა გიორგეთში 1924 წლის 25 მარტს.

დაამთავრა ქ. ხარკოვის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტი. ცნობილი იყო მაღალი დონის პროფესიონალიზმით და ჰუმანურობით.

გარდაიცვალა 2002 წ.

დაკრძალულია თბილისში, დიდუბის პანთეონში.

### თქვენ უკვდავნი ხართ!

## ვახტანგ ჭანკოტაძე



დაიბადა ქალაქ თელავში 1933 წლის 4 აპრილს.

მამა – რევაზ ჭანკოტაძე.

დედა – თამარ გოცირიძე.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; გორის საპატიო მოქალაქე; ღირსების მედლის კავალერი; აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი; ათეულობით რაციონალური წინადადებისა და გამოგონების ავტორი. გამოქვეყნებული აქვს ათამდე სამეცნიერო სტატია და ოთხასზე მეტი ჟურნალისტური წერილი. გამოცემული აქვს 50-მდე წიგნი ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში.

შვილები: დევი (გენერალ-ლეიტენანტი) და რევაზ (მაიორი) ჭანკოტაძეები. შვილიშვილები: ანა და ირინა; შვილთაშვილი – თემური.

# თამარი

1. თამარ მეფე
2. თამარ გურჯი (ხათუნი)
3. თამარ ჭავჭავაძე
4. თამარ ციციშვილი
5. თამარ გოცირიძე
6. თამარ იშხნელი
7. თამარ წერეთელი
8. თამარ ჭოხონელიძე
9. თამარ გვერდწითელი

…

- თამარ ლომსაძე

## 1 თამარ მეფე



საქართველოს მეფის გიორგი III-ის ასული. დაიბადა 1166 წელს. მეფობდა 1184-1213 წლებში. თამარი იყო საქართველოს პირველი ქალი-მეფე.

თამარი კარგად ერკვეოდა საგარეო და საშინაო პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან შექმნა ძლიერი მონარქია.

თამარმა დააბრუნა ადრე დაკარგული ტერიტორიების დიდი ნაწილი. მისი მეფობის დროს ისეთი ძლიერი იყო (სამხედრო თვალსაზრისით) საქართველო, რომ ხშირად მეზობელი ქვეყნები სთხოვდნენ დახმარებას.

გარდაიცვალა 1213 წელს. მისი ხსენების დღეა 14 მაისი.



## 2 თამარ გურჯი (ხათუნი)

თამარ გურჯი (VIII ს.) გახლდათ საქართველოს მეფის რუსუდანის ასული. მონღოლი ურდოების განუწყვეტელი შემოსევებისაგან საქართველო ძალიან იყო დასუსტებული როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური ისე სამხედრო თვალსაზრისით.

მოხდა ისე, რომ თამარ გურჯი გახდა სულთნის მეუღლე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სულთანმა 1238 წელს მოჭრილ მონღოლურ ფულზე ამოატვიფრინა თამარის (ხათუნი) სახე.



## 3 თამარ ჭავჭავაძე (1896-1968)

დაიბადა ყვარელში, დიდგვაროვანთა ოჯახში. თამარი პროფესიონალი მსახიობი გახლდათ. მოღვაწეობდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრებში, ასევე სოხუმის დრამატულ თეატრში. თამარ ჭავჭავაძეს მიიჩნევენ ქართული საბჭოთა თეატრის შექმნის ერთ-ერთ ფუძემდებლად. თამარ ჭავჭავაძე იყო კოტე მარჯანიშვილის მოსწავლე და მიმდევარი. თამარი გახლდათ მხატვრული კითხვის ცნობილი ოსტატი. იღებდნენ მხატვრულ ფილმებშიც (მაგ. ,,ქეთო და კოტე"). თამარ ჭავჭავაძე დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის და საპატიო ნიშნის ორდენებით.

## 4 თამარ ციციშვილი



დაიბადა 1908 წელს. ულამაზესი და უნიჭიერესი მსახიობი (თეატრი, კინო).

კინოსა თუ თეატრის რეჟისორებს თურმე ,,ტაციობა" ჰქონდათ გამართული ამათუიმ როლში მის მისაწვევად.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელია თამარ ციციშვილის როლები ისეთ მხატვრულ ფილმებში, როგორებიცაა: ,,დარიკო", ,,ქაჯეთი", ,,დავით გურამიშვილი", ,,ქეთო და კოტე", ,,ჭრიჭინა", ,,ბაში-აჩუკი" და სხვა.

თამარს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.



## 5 თამარ გოცირიძე (1910-1939)

გასული XX საუკუნის დასაწყისში მოხიბლული ჰყავდა ხან გურჯაანელი, ხან თელაველი მამაკაცები. „ხან“ – იმიტომ, რომ მისი მეუღლე რევაზ ჭანკოტაძე ხან ერთგან და ხან მეორეგან მუშაობდა საბჭოთა მეურნეობის დირექტორად და რაღათქმა უნდა ერთად იყვნენ.

თამარ დავითის ასული გოცირიძე დაიბადა 1910 წელს. მიღებული ჰქონდა საკანცელარიო ტექნიკური მუშაკის კვალიფიკაცია.

საზოგადოება მას იცნობდა და აფასებდა როგორც კომუნიკაბელურ და სტუმართმოყვარე ადამიანს. კარგად უკრავდა გიტარაზე და სასიამოვნოდ მღეროდა, რითიც მოინადირა კიდეც შილდელი (ყვარელის რაიონი) ვაჟკაცის, რევაზ ჭანკოტაძის გული.

აღსანიშნავია ის, რომ ქალბატონი თამარი გახლდათ თავისი მშობლების ნაბოლარა, 27-ე შვილი.

ქალბატონი თამარი 30 წლისაც არ იყო, როცა გარდაიცვალა. დატოვა ორი შვილი – ვახტანგი და დარეჯანი. დაკრძალულია ქ. გურჯაანში.

## 6 თამარ იშხნელი



დაიბადა 1896 წლის 1 მაისს ქ. ქუთაისში. 1910-1917წწ. სწავლობდა ქუთაისის პროგიმნაზიაში.

1918-1919წწ. დებმა იშხნელებმა ჩამოაყალიბეს თვითმოქმედი ანსამბლი და კონცერტებით გამოდიოდნენ ქუთაისში. 1940 წელს თამარი დებთან ერთად მღეროდა საქართველოს რადიოკომიტეტის ანსამბლში. იმავე წელს დები იშხნელების კვარტეტი მიიწვიეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ ანსამბლს, გამოდიოდა სოლო კონცერტებითაც.

იმხნელების რეპერტუარიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ,,ციცინათელა“, ,,ყაყაჩო აყვავებულა“, ,,სულიკო“, ,,ტურფავ, ტურფავ“, ,,ისევ შენ და ისევ შენ“, ,,სანთელივით ჩავქრები“ და სხვა.

მინიჭებული აქვს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, იყო საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

გარდაიცვალა 1994 წელს.



## 7 თამარ წერეთელი

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკ-ის დამსახურებული არტისტი. სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში. გამოირ-ჩეოდა ხმის განსაკუთრებული ხავერდო-ვნებით და ტემბრით. ფართო საზოგადოე-ბა და მუსიკალური სამყარო მოხიბლული იყო თამარის მიერ შესრულებული ბოშური სიმღერების ჟღერადობით. თამარმა, ხმის განსაკუთრებულობით და შესრულების მხ-ოლოდ მისთვის დამახასიათებელი მანერ-ით, მოიპოვა საყოველთაო აღიარება.

## 8 თამარ ჭოხონელიძე, 9 თამარ გვერდწითელი





მე-XX საუკუნის სამოციანი წლების ბავშვთა საესტრადო ანსამბლი ,,მზიურის“ ყოფილი წევრები, მომღერლები.

დღესაც წარმატებით მოღვაწეობენ მუსიკალურ სფეროში და თავისი წონადი წვლილი შეაქვთ კულტურის განვითარების საშვილიშვილო საქმეში.

## მარად თქვენი მოტრფიალე!

## თამარ ლომსაძე



თამარ ლომსაძე დაიბადა 1962 წლის 7 იანვარს ქ. გორში, ჯუმბერ და ლირა ლომსაძეების ოჯახში.

ქალბატონი თამარი გახლავთ მრავალი წიგნის ავტორი და რედაქტორი. 2017 წლიდან თამარ ლომსაძე არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. იგი ასევე აქტიური წევრია გორის ლიტერატორთა და ხელოვანთა კავშირისა.

თამარ ლომსაძე არის საოცრად თბილი ბუნების, გამორჩეული თავმდაბლობით და სიკეთის კეთების დიდი სურვილით. იგი დღესაც აქტიურად არის ჩართული მოსწავლეების აღზრდა-განათლების საპასუხისმგებლო საშვილიშვილო საქმეში.

# მერი

1. მერი შერვაშიძე
2. მერი ნაკაშიძე
3. მერი ჭელიძე
4. მერი კანდელაკი
5. მერი ზაალიშვილი
6. მერი დავითაშვილი
7. მერი შილდელი (მიჩილაშვილი)
8. მერი ალანია
9. მერი  ბოლქვაძე

•
•
•
•
•

მერი მარწყვიშვილი

## 1 მერი შერვაშიძე
## (1888-1986)



ულამაზესი ქალბატონი (გალაკტიონის მუზა) მერი შერვაშიძე დაიბადა საქართველოს ულამაზეს ქ. ბათუმში 1888 წელს.

მისი პიროვნება ცნობილი იყო არამარტო საქართველოში, არამედ ევროპაშიც.

გარდაიცვალა პარიზში 1986 წლის 21 იანვარს.



## 2 მერი ნაკაშიძე
## (1914-1986)

მერი ნაზარეს ასული ნაკაშიძე დაიბადა კახეთის ულამაზეს ქალაქ სიღნაღში 1914 წლის 14 აპრილს.

მომღერალი თავისი უნიკალური და უმშვენიერესი ხმით (ლირიკულ-კოლორატურული სოპრანო) მართლაც რომ აჯადოებდა ათიათასობით მსმენელს.

მერი ნაკაშიძე გახლდათ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი. გარდაიცვალა თბილისში 1986 წლის 27 ივლისს.

## 3 მერი ჭელიძე
## (1923-2011)



ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე ქალბატონი მერი ჭელიძე დაიბადა 1923 წელს. ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრას. მუშაობდა სასულიერო აკადემიაში საღვთისმეტყველო ფაკულტეტებზე. მის კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო შრომა. აღზარდა მრავალი ახალაგზრდა.

გარდაიცვალა 2011 წელს.

## 4 მერი კანდელაკი
## (1909-1983)

მერი კანდელაკი დაიბადა 1909 წლის 27 ნოემბერს. უმცროსი ასაკიდანვე ოცნებობდა მსახიობობაზე. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი.



1926 წლიდან მოღვაწეობდა სოხუმის, გორის, რუსთაველის და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრების სცენაზე. გადაღებულია ფილმებში: „მაგდანას ლურჯა“ (თ. აბულაძე, რ. ჩხეიძე, 1955), „ბაში-აჩუკი“ (ლ. ესაკია, 1956), „ეთერის სიმღერა“ (ს. დოლიძე, 1956), „საბუდარელი ჭაბუკი“ (შ. მანაგაძე, 1957), „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“ (ს. დოლიძე, 1959), „ჩვენი ეზო“ (რ. ჩხეიძე, 1957), „მამლუქი“ (დ. რონდელი“(1958), „ფატიმა“ (ს. დოლიძე, 1958), „ამბავი ერთი ქალიშვილისა“

(მ. ჭიაურელი, 1960), „განაჩენი“ (ლ. ხოტივარი, 1959), ჭიაკოკონა“ (ი. ქავთარაძე, 1961), „ერთი ცის ქვეშ“ (ლ. ღოღობერიძე, 1961), „ცეროდენა რაინდები“ (ნ. ნენოვა, გ. წულაია, 1963), „შეხვედრა წარსულთან“ (ს. დოლიძე, 1966), „სემირამიდას ბაღები“ (ს. დოლიძე, 1971).



## 5 მერი ზაალიშვილი

ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელი მერი ზაალიშვილი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იყო გაზეთების „თელავის მოამბესა“ და „ალაზნის განთიადის“ რედაქტორი.

მერი ზაალიშვილი გახლავთ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მას მინიჭებული აქვს იყალთოს (ცნობილი სასულიერო კერა ქ. თელავთან) საპატიო მოქალაქის წოდება საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან ერთდროულად.

## 6 მერი დავითაშვილი



მერი შალვას ასული დავითაშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1924 წლის 13 მარტს. მან ახალგაზრდა ასაკშივე მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება კომპოზიტორული ნიჭის წყალობით. იგი ავტორია ასეულობით სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური ნაწარმოების. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ სახ-

ალხო არტისტის წოდება. გახლდათ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 2014 წლის 17 თებერვალს.

## 7 მერი შილდელი (მიჩილაშვილი) (1915-1982)



მერი მიჩილაშვილი (შილდელი) დაიბადა 1915 წლის 10 ოქტომბერს ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში. განათლების საწყისი საფეხურების გავლის შედეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში (ვოკალი). მღეროდა ს. კავსაძის ანსამბლში (კონტრალტო). წარმატებით გამოდიოდა ესტრადაზე.

ცნობილმა რუსმა მსახიობმა არკადი რაიკინმა მიიწვია მოსკოვში, თავის თეატრში. მალე დაბრუნდა თბილისში, სადაც მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლომდე. გასტროლებით შემოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო. მისი რეპერტუარიდან განსაკუთრებულია: „ხმა იდუმალი", „შენს სიყვარულს დავიფიცებ", „მუხამბაზი" და სხვა.

მერი მიჩილაშვილი (შილდელი) გარდაიცვალა 1982 წლის 13 მაისს.

## 8 მერი ალანია

მერი ალანია პროფესიით გახლავთ მეცნიერ-ქიმიკოსი. მის კალამს ეკუთვნის უამრავი სამეცნიერო გამოკვლევა, წიგნი და სტატია.

ქალბატონი მერი ალანია დაიბადა ხობის რაიონის სოფ. შუა ქვალიონში 1937 წელს. საშუალო სკოლის შემდეგ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტე-

ტი. მუშაობდა: აფთიაქის მმართველად (აბაშის რაიონი, სოფ. ინტოფო); ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფიტოქიმიის განყოფილების უფროსად; აქვე 1987 წლიდან ეკავა წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობა.

ქალბატონი მერი ალანია გახლავთ ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.





## 9 მერი ბოლქვაძე

დაიბადა ბარაქიან კახეთში 1933 წლის 15 აგვისტოს. ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა საოცარი მისწრაფება წერა-კითხვისაკენ, მოგვიანებით კი წიგნებისადმი და კონკრეტულად კი საბავშვო ლიტერატურისაკენ.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა წინანდალში და თბილისში. მისი პირველი მოთხრობა „დათოს ჩაქუჩი“ 1956 წელს ჟურნალ „დილაში“ გამოქვეყნდა. მისი საყმაწვილო კრებულები: „ყაყაჩოები“, „ეშმაკუნა იხვი“, „დილის სერენადა“, „ვის მოჰყავს გაზაფ-

ხული“ და სხვა ბავშვების დიდი სიყვარულით სარგებლობს. მისი ყველა პერსონაჟი სულიერი თუ უსულო, ბავშვებთან ერთად სიკეთის ფერხულშია ჩაბმული. მ. ბოლქვაძის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია და ცალკე წიგნებადაა გამოცემული რუსულ ენაზე.

### დაე, თქვენს მაგალითზე აღზრდილიყვნენ თაობები!

## მერი მარწყვიშვილი



საქართველოს მწერალთა და გორის „ლიტერატორთა და ხელოვანთა“ კავშირების წევრი, ფილოლოგი, მედიცინის და, პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადოებაში უნიკალური აქტიურობით გამორჩეული ქალბატონი მერი მარწყვიშვილი დაიბადა გორის რაიონის სოფ. შინდისში 1940 წლის 15 დეკემბერს.

გამოცემული აქვს ათამდე წიგნი ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში.

ავტორია უამრავი პუბლიცისტური წერილის („ცისკარი“, „სოფლის ცხოვრება“, „გამარჯვება“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში). აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მიღებული აქვს სიგელები, დიპლომები, მედლები და სხვა.

სამწუხაროდ, ამჟამად გახლავთ დაქვრივებული მეუღლე. ჰყავს ორი შვილი, სამი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი.

ქალბატონი მერი გახლავთ ლექსის ზეპირად კითხვის, მართლაც რომ, უპრეცედენტო შესაძლებლობების მქონე. შეუძლია მთელი დღის განმავლობაში ზეპირად იკითხოს სხვისი და თავისი ლექსები!! მართლაც საოცარია.

მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა, ქალბატონი მერი გამოირჩევა ახალგაზრდული ენერგიითა და შემართებით.

„...შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი,
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,
სანდომიან ცის ელვა და ფერი
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა.

აფეთქებული და მოცახცახე
იწოდა ნათელ ალთა კრებული,
მაგრამ სანთლებზე უფრო ეგ სახე
იყო იდუმალ გაფითრებული.

...და მე ავტირდი ვით მეფე ლირი,
ლირი, ყველასგან მიტოვებული.“

(გალაკტიონი)

# ნიკო (ნიკოლოზი)

1. ნიკოლოზ ბარათაშვილი
2. ნიკო (ნიკოლოზ) ნიკოლაძე
3. ნიკო (ნიკოლოზ) მარი
4. ნიკო (ნიკოლოზ) სამადაშვილი
5. ნიკოლოზ (ნიკო) აბაშიძე
6. ნიკო (ნიკოლოზ) მუსხელიშვილი
7. ნიკოლოზ (ნიკო) ჭავჭავაძე
8. ნიკოლოზ (ნიკო) ჩიქოვანი
9. ნიკოლოზ (ნიკო) ჩუბინაშვილი

…

ნიკო (ნიკოლოზ) ოთინაშვილი



## 1 ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817-1845)

ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი დაიბადა 1817 წელს.

რთული პირადი ცხოვრების მიუხედავად, მან თავისი ნიჭიერებითა და ნაყოფიერი მოღვაწეობით შესძლო გამხდარიყო უდიდესი ქართველი პოეტის სტატუსის მატარებელი. იგი გახლდათ  მებრძოლი რომანტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საყოველთაოდაა აღიარებული მისი პოემა „ბედი ქათლისა". გარდაიცვალა 1845 წელს.

## 2 ნიკო (ნიკოლოზ) ნიკოლაძე (1843-1928)



ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და პოლიტიკოსი ნიკო იაკობის ძე ნიკოლაძე დაიბადა დიდ ჯიხაიშში 1843 წლის 27 სექტემბერს.

შვილები – რუსუდანი, გიორგი და ნინო.

გარდაიცვალა 1824 წლის 5 ივნისს. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.



## 3 ნიკო (ნიკოლოზ) მარი

### (1864-1934)

მსოფლიოში აღიარებული ფილოლოგი და მეცნიერი.

უმნიშვნელოვანესი ღვაწლი მიუძღვის ქართული ხელნაწერების მოძიებაში, შეგროვებასა და შესწავლაში. 1898 წელს აღწერა ათონის მონასტრის ქართული ხელნაწერები; 1902 წელს იმოგზაურა სინას მთაზე, სადაც აღმოაჩინა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" და საზოგადოებას წარუდგინა 1911 წელს ბრწყინვალე გამოცემის სახით. ნიკოლოზ მარის მრავალი უნიკალური დებულება საფუძვლად დაედო ქართული ენის მეცნიერული ანალიზის პროცესსა და შედეგებს.

## 4 ნიკო (ნიკოლოზ) სამადაშვილი

### (1905-1963)



დაიბადა 1905 წლის 19 ივლისს. უნიჭიერესი ქართველი პოეტი, თუმცა, მისი სიცოცხლის პერიოდში არ გამოუქვეყნებია არცერთი ლექსი.

მისი მოთხრობების პირველი კრებული გამოქვეყნდა 1989 წელს.

საინტერესოა ის, რომ ნიკოლოზ სამადაშვილს განსაკუთრებულ პოეტად მოიხსენიებენ: გერონტი ქიქოძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ერეკლე ტატიშვილი და თვით გალაკტიონ ტაბიძეც.

გარდაიცვალა თბილისში, 1963 წლის 1 მაისს.

## 5 ნიკოლოზ (ნიკო) აბაშიძე (1897-1965)



იმერელ თავადთა წარმომადგენელი. აქტიურად იყო ჩართული რუსეთის წინააღმდეგ ქართველთა აჯანყების პროცესში 1819-1820 წლებში. მჭიდროდ თანამშრომლობდა ალექსანდრე ბატონიშვილთან. ისტორიაში დაფიქსირებულია ფაქტი იმისა, რომ ნიკო აბაშიძემ ახალციხიდან ჩამოიტანა დიდი რაოდენობით ტყვია-წამალი ამბოხებულთათვის.

დაკრძალულია ახალციხეში.

## 6 ნიკოლოზ (ნიკო) მუსხელიშვილი



დიდი ქართველი მათემატიკოსი და მექანიკოსი ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილი დაიბადა 1891 წელს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი, სტალინური პრემიის არაერთგზის ლაურეატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი, დრეკადობის თეორიის ფუძემდებელი, ათასობით სტუდენტის აღმზრდელი.

ლექციების წასაკითხად მისთვის ყოველთვის გამოყოფილი იყო ყველაზე დიდი აუდიტორია, რადგან მის მოსასმენად მოდიოდნენ სტუდენტები და ლექტორებიც სხვადასხვა სასწავლებლებიდან და სამეცნიერო ორგანიზაციებიდან.

ამ წიგნის ერთ-ერთ ავტორს (ვ. ჭანკოტაძეს) ჰქონდა ბედნიერება ყოფილიყო მისი სტუდენტი.

გარდაიცვალა 1976 წლის 15 ივლისს. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

## 7 ნიკოლოზ (ნიკო) ჭავჭავაძე (1829-1897)



გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი ნიკო (ნიკოლოზ) ჭავჭავაძე დაიბადა კახეთში, ქ. ყვარელში 1829 წლის 20 დეკემბერს. იგი გახლდათ ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის ომების მონაწილე, ასევე დაღესტანის დასავლეთ ნაწილის სამხედრო გუბერნატორი, დაღესტნის ოლქის უფროსი და ჯარების სარდალი (1880-1883 წ.წ.).

გარდაიცვალა 1897 წელს. დაკრძალულია ყვარელში.

## 8 ნიკოლოზ (ნიკო) ჩიქოვანი (1833-1892)



დაიბადა 1833 წლის 23 მაისს ხობის რაიონის სოფ. სუხჩაში.

გურიის ფეხოსანთა „დრუჟინის“ მეთაური. ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის ომების მონაწილე.

იგი გახლდათ ასევე ტამანის 150-ე ქვეითი პოლკისა და კავკასიის კაზაკთა მე-3 მსროლელთა „დრუჟინის“ მეთაური.

გარდაიცვალა 1892 წ. 2 ივნისს. დაკრძალულია ქუთაისში.

## 9 ნიკოლოზ (ნიკო) ჩუბინაშვილი (1833-1892)

დაიბადა ქ. ლაიფციგში. 1927-1931 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიასა და საქართველოს სამშენებლო ინსტიტუტში.

იყო ძეგლთა დაცვის სამმართველოს არქიტექტორ-ინსპექტორი; ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი. მუშაობდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. იგი შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურისა და ქანდაკების მკვლევარია; შესწავლილი აქვს ქართული ხუროთმოძღვრების ცნობილი ძეგლები (გუდარეხი, სამშვილდის სიონი, წეროვანი და სხვა) და ძეგლ-

თა ჯგუფები (სწორკუთხა საკურთხევლიანი ეკლესიები); გამოსცა შუა საუკუნეების რელიეფების ცალკეული ნიმუშები, ადრე შუა საუკუნეების ქვაჯვარები. პირველმა გამოიკვლია ქართულ ხეზე კვეთილობის X-XI საუკუნეების ნაწარმოებები. იყო ხელოვნების ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1961).



### მადლიერი თანამემამულე!

## ნიკო (ნიკოლოზ) ოთინაშვილი



დაიბადა ქ. ცხინვალში 1949 წელს. საშუალო განათლების შემდეგ უმაღლესი განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

ამჟამად იგი გახლავთ გორის უნივერსიტეტის პროფესორი. ეწევა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ნიკოლოზ (ნიკო) ოთინაშვილი გახლავთ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. ავტორია რამდენიმე მონოგრაფიისა და ასეულობით სამეცნიერო შრომისა ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ქართული ენა, საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია, გეოგრაფია, ონომასტიკა და სხვა.

ნიკოლოზ ოთინაშვილი ატარებს ცხინვალიდან დევნილის (1991 წლიდან) სტატუსს.

# ნინო

1 ნინო წმინდა
2 ნინო ჭავჭავაძე
3 ნინო რამიშვილი
4 ნინო გურიელი
5 ნინო ანანიაშვილი
6 ნინო ჩხეიძე
7 ნინო ლომჯარია
8 ნინო ბურჯანაძე
9 ნინო სალუქვაძე

ნინო ამბროლაძე



## 1 ნინო წმინდა

დაიბადა 296 წელს კაპადოკიაში.

„მოქცევაი ქართლისაი“-ს მიხედვით, მისი გარდაცვალების თარიღია 338 წლის 27 იანვარი (ძველი სტილით 14 იანვარი)

დაკრძალულია კახეთში, სოფელ ბოდბეში.

წმინდა ნინოს ხსენების დღე – ნინოობა არის 27 იანვარს (ძველი სტილით – 14 იანვარს). წმინდა ნინოს ჯავახეთში შემოსვლის თარიღად მიჩნეულია 1 ივნისი.

ძირითადი მოღვაწეობა – მისიონერობა. მასთან დაკავშირებული მთავარი ატრიბუტია წმინდა ნინოს ჯვარი.

## 2 ნინო ჭავჭავაძე (1812-1857)



თავადის ასული ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა – ქართველი პოეტისა და თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი, რუსი დიპლომატისა და დრამატურგის – ალექსანდრე გრიბოედოვის მეუღლე. დაწყებითი განათლება სახლში მიიღო. მოგვიანებით იგი დადიოდა პრასკოვია ნიკოლაევნა არსენიევა-ახვერდოვას პანსიონში, სანქტ-პეტერბურგში.

განსაკუთრებული სილამაზით გამორჩეული ქართველი ქალბატონი დაიბადა ალექსანდრე ჭავჭავაძისა და სალომე ორბელიანის თავადურ ოჯახში (დღევანდელი თელავის რაიონის სოფ. წინანდალში) 1812 წლის 4 ნოემბერს. გარდაიცვალა 1857 წლის 28 ივნისს ქ. თბილისში.

მთელი რუსეთის იმპერიისათვის კარგად იყო ცნობილი ალ. ჭავჭავაძის ოჯახი. ჭავჭავაძეების გვარისადმი განსაკუთრებით გაიზარდა

ინტერესი მას შემდეგ, რაც ნინო გახდა რუსი დიპლომატისა და დრამატურგის ალ. გრიბოედოვის მეუღლე. ნინოს უახლოესი წინაპრები იყვნენ გარსევან და მარიამ ჭავჭავაძეები და იოანე ორბელიანი.

## 3 ნინო რამიშვილი



დაიბადა 1910 წლის 19 იანვარსთბილისში. გარდაიცვალა 2000 წლის 6 სექტემბერს.

ბალეტის მსახიობი, ბალეტმაისტერი. საქართველოს 1948 და სსრკ 1963 სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახ. 1973 და სსრკ 1949 სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე (1981). ილია სუხიშვილთან ერთად ჩამოაყალიბა ახლანდელი ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი. იყო მისი წამყვანი მოცეკვავე, ქორეოგრაფი და სამხატვრო ხელმძღვანელი. დიდი ღვაწლი დასდო ქართული ცეკვის პოპულარიზაციას.

დაკრძალულია თბილისში, დიდუბის პანთეონში.



## 4 ნინო გურიელი

XX საუკუნის 80-90-იანი წლების საქართველოს მოჭადრაკე ქალთა უმაღლესი რანგის კოჰორტის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი ნინო გურიელი დაიბადა თბილისში 1961 წლის 7 თებერვალს.

ნინომ არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ქართველ მოჭადრაკე ქალთა სახელოვან ისტორიაში. მრავალი საპრიზო თუ საჩემპიონო მედლებთან ერთად, მას მიკუთვნებული აქვს საერთაშორისო საჭადრაკო დიდოსტატის წოდება.



## 5 ნინო ანანიაშვილი

მსოფლიო დონის ხელოვანი, არაერთი ტიტულისა და წოდების მფლობელი, ელეგანტურობითა და საოცარი პლასტიკურობით გამორჩეული პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი დაიბადა 1963 წლის 19 მარტს ქ. თბილისში.



საბალეტო სცენაზე შექმნა უამრავი დასამახსოვრებელი სახე. ამჟამად ნინო ანანიაშვილი არის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელი.

მეუღლე – გრიგოლ ვაშაძე; შვილი – ელენე.

## 6 ნინო ჩხეიძე

ნინო ჩხეიძე დაიბადა 1981 წლის 6 ივნისს გია ჩხეიძისა (ეკონომისტი) და ქეთინო ქოჩიაშვილის (მათემატიკოსი) ოჯახში.

დაამთავრა თბილისის №5 მუსიკალური სკოლა; შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტში ტელე-ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, რასაც მოჰყვა იგივე განხრით სწავლა მაგისტრატურაში.

ქართული საზოგადოება (და არამხოლოდ ქართული) მას იცნობს, როგორც ქართული ძველი ქალაქური სიმღერების შესრულების დიდოსტატს. 2005 წელს ჩაწერა პირველი ქალაქური სიმღერა „ჩემი გმირი გი-



წოდე“, შემდეგ „წაღვერი და თბილისი“.

ნინო ჩხეიძის სიმღერების პირველი ალბომი გამოვიდა 2006 წელს, 2008 წელს გამოვიდა მისი კიდევ ორი ალბომი. ნინო ჩხეიძემ შექმნა ბრენდი „Nio“. 2017 წელს გამოსცა ალბომი „ნინო ჩხეიძე“. 2018 წელს შექმნა მუსიკალური ბენდი „Nio ბენდი“.

ნინოს ჰყავს მეუღლე (გიორგი კორახაშვილი) და ქალიშვილი მარიამი.



## 7 ნინო ლომჯარია

ნინო ლომჯარია დაიბადა ქ. ოზურგეთში 1984 წლის 15 თებერვალს. დაამთავრა თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტი მაგისტრის ხარისხით სამართალში და სენტ-ლუისის (აშშ) ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა.

მუშაობდა საქართველოს იურისტთა ასოციაციაში; საარჩევნო პროექტების კოორდინატორად; ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქი) სამართლის პროფესორის ასისტენტად; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიწვეულ პროფესორად (2004-2015 წ.წ.); სახელმწიფო აუდიტის სამსახურში გენერალური აუდიტორის პირველი მოადგილე.

ნინო ლომჯარია 2017 წლიდან არის საქართველოს სახალხო დამცველი.

2015-2016 წლებში ნინო ლომჯარია იყო საქართველოში „ევროპული სადამკვირვებლო ორგანიზაციების“ ქსელის (ENEMO)-ს გენერალური მდივანი.



## 8 ნინო ბურჯანაძე

დაიბადა ქ. ქუთაისში 1964 წლის 16 ივლისს.

პოლიტიკოსი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე 2001-2008 წლებში. საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის ორგზის შემსრულებელი: 2003/XI-2004/I და 2007/XI-2008/I.

დაამთავრა: ქუთაისის №2 საშ. სკოლა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი. ნ. ბურჯანაძე გახლავთ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

ნინო ბურჯანაძე 1995-1998 წლებში იყო დიდ ბრიტანეთში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი.

ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი.

ნინო ბურჯანაძე ავტორია ერთი მონოგრაფიის (საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებზე) და ოცამდე მეცნიერული ნაშრომის ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

## 9 ნინო სალუქვაძე




ნინო სალუქვაძე დაიბადა 1969 წ. 1 თებერვალს ქ. თბილისში.

ბავშვობიდანვე იზიდავდა სპორტის ისეთი სახეობა, როგორიც იყო მიზანში სროლა. დაუღალავი წვრთნითა და შრომით დაიპყრო უმაღლესი მწვერვალები.

ნინო სალუქვაძე გახლავთ ოლიმპიური ასპარეზობების ოქროს მედლის სამგზის მფლობელი, მრავალი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი.

დაჯილდოებულია ასევე: ვახტანგ გორგასლის სახელობის მეორე და მესამე ხარისხის ორდენებით, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით, ღირსების ორდენით, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორდენით, ამავე კომიტეტის საიუბილეო მედლით.

2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა, როცა ნინო და მისი შვილი ცოტნე მაჭავარიანი გახდნენ პირველი დედა-შვილი, რომლებმაც ერთად იასპარეზეს ერთიდაიგივე თამაშებზე.

**მადლობა ღირსეულ თანამემამულეებს!**

## ნინო ამბროლაძე



ნინო ამბროლაძე დაიბადა 1977 წლის 14 ნოემბერს თბილისში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მიიღო უმაღლესი განათლება და დაეუფლა იურისტის სპეციალობას.

36 წლის ასაკში უკვე ჰყავდა

ოთხი შვილი (ყველა მათგანი დაბადებულია ამათუიმ თვის 28 რიცხვში) და მეუღლესთან ერთად მუხლმოუხრელად შრომობს მათთვის ცხოვრების გზის გასაკვალავად.

სულ მალე გახდება ბებია.

გამოირჩევა ენერგიულობით და მხიარული ხასიათით. უყვარს სხვისი დახმარება.



**ბოდბეს მონასტერი, სიღნაღი.**
**ნინო წმინდის განსასვენებელი.**

# სოფიო (სოფო, სოფიკო)

1. სოფიო ჭავჭავაძე
2. სოფიკო (შურა) ნიკოლიშვილი
3. სოფიო ამირეჯიბი
4. სოფიკო ჭიაურელი
5. სოფიო კინწურაშვილი
6. სოფიო კუბლაშვილი
7. სოფიო ქაცარავა
8. სოფიო ახმეტელი
9. სოფო ნიჟარაძე

სოფიკო მექვაბიშვილი

## 1 სოფიო ჭავჭავაძე
## (1833-1862)



სოფიო დაიბადა 22 სექტემბერს თელავის რაიონის სოფ. წინანდალში პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და სალომე ორბელიანის ოჯახში. მისი დედმამიშვილები იყვნენ ნინო (გრიბოედოვის მეუღლე), ეკატერინე (სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი) და გენერალი დავითი.

სოფიო ჭავჭავაძემ ისწავლა: რუსული და ფრანგული ენები; ხატვა, მუსიკა და საოჯახო ხელსაქმე.

სოფიოს მშობლები ადრე გარდაიცვალნენ და ამის გამო მასზე მეურვეობა თავის თავზე აიღეს უფროსმა და-ძმამ – ნინომ და დავითმა.

სოფიოს მეუღლე იყო რუსეთის სახელმწიფო მოხელე ალექსანდრე ნიკოლაი (მისი მშობლები საფრანგეთში მცხოვრები შვედები იყვნენ), რომელიც მუშაობდა საქართველოში მეფისნაცვალ გრიბოედოვთან ერთად. მათ ეყოლათ ერთადერთი შვილი (მარიამი).

ალექსანდრე ნიკოლაი სამუშაოდ გადაჰყავთ უკრაინაში, სადაც მიჰყავს ოჯახიც. 1862 წელს ნიკოლაი გადაჰყავთ პეტერბურგში, მაგრამ მალე გარდაიცვალა. სოფიომ იგი გადაასვენა ფინეთში და დაკრძალა საგვარეულო სასაფლაოზე. სოფიო ჭავჭავაძე დაკრძალულია რუსეთში.



## 2 სოფიკო (შურა) ნიკოლიშვილი

მთარგმნელი, მსახიობი, მწერალი, სცენარისტი სოფიკო ნიკოლიშვილი დაიბადა 1926 წლის 28 იანვარს თელავის რაიონის სოფ. იყალთოში.

1948 წელს დაამთავრა თბილისის საფერშლო-სამეანო ტექნიკუმი, ხოლო 1952 წელს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში

მოღვაწეობდა: კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში, ზუგდიდის თეატრში და სხვა. არის მოსკოვში, მინსკში, კიევში გამართული კონკურსების ლაურეატი; მიღებული აქვს ოქროსა და ვერცხლის მედლები. შექმნილი აქვს საბავშვო-გასართობი პროგრამები, დაწერილი აქვს მრავალი ლექსი, მოთხრობა, ნოველა, გალექსილი აქვს 150 იგავ-არაკი. სამსახიობო კარიერა დაამთავრა კინო მსახიობთა თეატრში.

## 3 სოფიო ამირეჯიბი (1847-1906)



დაიბადა 1847 წ. 1 ოქტომბერს წარჩინებული პიროვნების ვასილ ართუთინსკის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება შინ მიიღო. მერე მიაბარეს ფაბრის პანსიონში, სადაც ისწავლა სულ რაღაც წელიწადნახევარი დროის განმავლობაში და ძირითადი ყურადღება გადაიტანა თვითგანათლებაზე.

სოფიო გახლდათ სახელგანთქმული გენერალ-ლეიტენანტის მიხეილ ამირეჯიბის მეუღლე. მათ ოჯახში აღიზარდნენ შვილები – ანასტასია, ბარბარე და კონსტანტინე, რომლებმაც მეტნაკლებად საპატიო ადგილი დაიკავეს ქართული კულტურის ისტორიაში. თავად სოფიოს საზოგადება იცნობდა, როგორც მთარგმნელს, პოეტს, საზოგადო მოღვაწეს, ქველმოქმედს.

სოფიო კარგად იცნობდა მსოფლიო ლიტერატურას; ფლობდა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებს.

ნათარგმნი აქვს უამრავი ქართველი პოეტისა და მწერლის ნაწარმოები („კავკაზსკი ვესტნიკი“, „არგონავტი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „ტიფლისკი ლისტოკ“ და სხვა გაზეთ-ჟურნალებში).

სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა მოსკოვში. მათ სახლში ხშირად იკრიბებოდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები. სოფიო გარდაიცვალა მოსკოვში 1906 წელს.

## 4 სოფიკო ჭიაურელი



თეატრისა და კინოს გამოჩენილი ქართველი მსახიობი სოფიკო ჭიაურელი დაიბადა 1937 წლის 21 მაისს ქ. თბილისში, ცნობილი კინორეჟისორის მიხეილ ჭიაურელისა და საქვეყნოდ ცნობილი მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძის ოჯახში.

სოფიკოს პირველი მეუღლე გახლდათ გიორგი შენგელაია; შემდეგ კი მან თავისი ცხოვრება დაუკავშირა პოპულარულ მსახიობს და სპორტული პროგრამების (მათ შორის ფეხბურთის) უბადლო რადიო და ტელეკომენტატორს კოტე მახარაძეს.

სოფიკო ჭიაურელი გამოირჩეოდა საოცარი აქტიურობითა და ინიციატივით. შესრულებული აქვს უამრავი სახასიათო თეატრალური თუ კინოროლი.

გარდაიცვალა 2008 წლის 2 მარტს. დაკრძალულია თბილისში.



## 5 სოფიო კინწურაშვილი

საქართველოს გრაფიკული დიზაინის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი (1997 წ.), საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი (1974 წ.).

ქალბატონი სოფიო კინწურაშვილი დაიბადა თბილისში 1948 წ, 16 ივლისს. სწავლა-განათლების საწყისი ეტაპების წარმატებულად გავლის შემდეგ, დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია.

მრავალმხრივი და ფრიად საყურადღებოა მისი შემოქმედება. მის ნა-

ხატებს და სხვა ნამუშევრებს მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა მასშტაბურ კონკურსებში. მისი ნაშრომები დაცულია: ქართულ ეროვნულ გალერეაში; მოსკოვის პუშკინის სახ. მუზეუმში; ზიმერლის (აშშ), ნაპას, კანაგავას (იაპონია), ნორვეგიის (ხელოვნების) მუზეუმებში და სხვა.

მას ეკუთვნის მრავალი წიგნის მხატვრული გაფორმება, მათ შორის „ყურანის" ქართული თარგმანის გაფორმება და დიზაინი.



## 6 სოფიო კუბლაშვილი

მწერალი, ფილოლოგი, პოეტი, პედაგოგი. დაიბადა 1977 წლის 19 სექტემბერს ქ. ქუთაისში.

საშუალო განათლების შემდეგ სწავლობდა ჯერ თბილისის, შემდეგ ქუთაისის უნივერსიტეტებში. გახლავთ ქართული ენის ფილოლოგიის მაგისტრი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. არის ქართველური დიალექტის შემსწავლელთა ჯგუფის აქტიური წევრი; ამჟამად იგი ნაყოფიერად იღწვის ბავშვთა ადრეული განვითარების სფეროში.

მონაწილეა მრავალი ლიტერატურული კონკურსის. მიღებული აქვს პრიზები, სიგელები, დიპლომები და ა.შ. მისი ნაშრომები დაჯილდოებულია გამომცემლობა „ინტელექტის" სპეციალური პრიზებით.

მის კალამს ეკუთვნის მრავალი ლიტერატურული ნაშრომი, მათ შორის: რომანი „ორი დაბადება", ნოველების კრებული „ოკრიბის ღმერთი", უამრავი მოთხრობა და სხვა.

## 7 სოფიო ქაცარავა

ფილოლოგი და პოლიტიკოსი სოფიო ქაცარავა დაიბადა ქ. თბილისში. იგი გახლდათ საქართველოს პარლამენტის წევრი 2016-2019 წლებში. 2020 წლიდან სოფიო არის საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი



ელჩი გაერთიანებულ სამეფოში.

დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში წარმატებულად იღწვოდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტების მენეჯერის სტატუსით, მათ შორის დიდი ბრიტანეთის საელჩოს და საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის მნიშვნელოვან პროექტებში.

## 8 სოფიო ახმეტელი



დაიბადა თბილისში 1981 წლის 28 მარტს. განათლების საწყისი, საშუალო სკოლის სტადიის გავლის შემდეგ, წარმატებით გაიარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ეტაპი (2004 წ.) და დაიწყო მუშაობა ბრენდ-მენეჯერად („როსინოლის“ ფირმა).

გახლავთ სათხილამურო სპორტის ფედერაციის ადმინისტრაციის უფროსი. მსოფლიო უნივერსიადის ოთხგზის ჩემპიონი, ორგზის ოლიმპიელი; არის საქართველოს სამთო-სათხილამურო ნაკრების მედროშე; მსოფლიო ჩემპიონატების ოთხგზის მონაწილე, მრავალი კორესპონდენციისა და სპორტული რეპორტაჟების ავტორი. წერს მოთხრობებსა და მინიატურებს, უპირატესად სათხილამურო სპორტის პერიპეტიებზე.

## 9 სოფო ნიჟარაძე



სოფო ნიჟარაძე დაიბადა ქ. თბილისში 1985 წლის 6 თებერვალს. საბავშვო ასაკიდანვე გამოირჩეოდა მხიარული ხასიათით, აქტიურობით და ბავშვური სიცელქეებით.

მსახიობმა, მომღერალმა და თავად სიმღერების ავტორმა 2010 წლის მაისში ევროვიზიის კონკურსზე წარადგინა საქართველო.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ისწავლა და დაამთავრა რუსეთის თეატრალური ხელოვნების აკადემია. შესრულებული აქვს (რუსულ ენაზე) ჯულიეტას როლი მიუზიკლში „რომეო და ჯულიეტა".

### თქვენ ამშვენებთ საქართველოს ისტორიას!

## სოფიკო მექვაბიშვილი

დაიბადა გორის რაიონის სოფ. მეჯვრისხევში (1947 წ. 27 აპრილს), სადაც დაამთავრა საშუალო სკოლა. სხვადასხვა წლებში განათლება მიიღო: საფინანსო-საბუღალტრო სასწავლებელში, მსუბუქი მრეწველო-



ბის ტექნიკუმში და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ფილოლოგი).

მუშაობდა სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებაში.

ბავშვობიდანვე იტაცებდა პოეზია. 1991 წლიდან არის ქალთა სალონ „ბანოვანის“ წევრი. 2009 წლიდან არის გორის ლიტერატორთა და ხელოვანთა კავშირის, ხოლო 2018 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. სიქალწულეში მეცადინეობდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში.

ქალბატონი სოფიკო 1969-1971 წლებში იყო ქ. გორის ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი.

სოფიკოს ლექსები ხშირად იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. გამოცემული აქვს ლირიკული ლექსების რამდენიმე კრებული. მზად აქვს გამოსაცემად ახალი წიგნი.

სოფიკო მექვაბიშვილს ჰყავს ორი შვილი და შვილიშვილი. სამწუხაროდ, სულ ახლახანს დაკარგა უძვირფასესი მეუღლე, რის გამოც ვუსამძიმრებთ და ვუსურვებთ მხნეობას.



**კიევის წმინდა სოფიას საკათედრო ტაძარი.**

# შალვა

1. შალვა ახალციხელი
2. შალვა დადიანი
3. შალვა-ალექსი მესხიშვილი
4. შალვა ნუცუბიძე
5. შალვა ამირანაშვილი
6. შალვა ჭანკოტაძე
7. შალვა აზმაიფარაშვილი
8. შალვა ხერხეულიძე
9. შალვა აბზიანიძე

შალვა მურადაშვილი



**1**

## შალვა ახალციხელი

**(11..-1226)**

სამეფო ოჯახის წევრი, სამხედრო პირი, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი (ხსენების დღე ძ/სტ. 17 ივნისი, ა/სტ. 30 ივნისი), თამარ მეფის ვეზირი, ერისთავთ-ერისთავი, ახალციხელთა გვარის ფუძემდებელი.

განძანის წარწერა იუწყება: „...ძლიერი და უძლეველი ყოველთა მტერთაგან... რომელმან ძალითა ლომითისაითა და მკლავითა თვისითა შეძრწუნა ყოველი სოფელი სპარსეთისაი".

შალვა ახალციხელი, ს. თმოგველთან ერთად, ყარსისა და ბასიანის ბრძოლებში (თავისი ძმის ივანეს გვერდით) სარდლობდა მესხთა ლაშქარს. ხვარაზმელებმა ტყვედ ჩაიგდეს შალვა ახალციხელი და იმის გამო, რომ მან არ უარყო ქრისტეს სჯული – სიკვდილით დასაჯეს (1226 წ.).

**2**

## შალვა დადიანი

**(1874-1959)**



დაიბადა ქ. ზესტაფონში ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ დადიანის ოჯახში.

სიჭაბუკის წლებში გაიტაცა პროგრესულმა სოციალურმა და პატრიოტულმა იდეებმა. 1892 წელს გამოსცა ლექსების პირველი კრებული „ნაპერწკალი" და პროზაული მინიატურები.

1893 წელს მან მსახიობობა დაიწყო ქუთაისის თეატრში. 1908 წელს ჩამოაყალიბა „მოძრავი დასი", რომე-

ლიც რევოლუციური შინაარსის სპექტაკლებს დგამდა.

შალვა დადიანი, არსებითად, ქართულ დრამატურგიაში კომედიური ჟანრის ფუძემდებლად არის აღიარებული.

შალვა დადიანის კალამს ეკუთვნის: რომანი „გიორგი რუსი"; მოგონებათა წიგნი „რაც გამახსენდა" და მრავალი სხვა.

მას დაწერილი აქვს მრავალი მოთხრობა, ნოველა, პუბლიცისტური წერილი. თარგმნილი აქვს შექსპირის, შილერის, ბაირონის, ჰაუპტმანის და მრავალი სხვა მწერალთა ნაწარმოებები. აღსანიშნავია მისი რეჟისორული მოღვაწეობაც. მიღებული აქვს უამრავი ჯილდო, პრემია, პრიზი. დაკრძალულია თბილისში მთაწმინდის პანთეონში.

## 3 შალვა-ალექსი მესხიშვილი

## (1884-1960)



დაიბადა ქ. თელავში 1884 წლის 8 მაისს. 1902-1904 წლებში სწავლობდა ქ. ოდესის უნივერსიტეტში, საიდანაც გარიცხეს სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო. დაამთავრა ქ. ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ადვოკატობა დაიწყო თბილისში 1910 წელს. იგი გახლდათ საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი და ხელი აქვს მოწერილი დამოუკიდებლობის აქტზე (1918 წ. 26 მაისი). იყო იუსტიციის მინისტრი (1918-1919 წ.წ.); იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი. შალვა იყო შვილი ცნობილი საზოგადო მოღვაწისა, პოლიტიკოსისა და იურისტის ლადო მესხიშვილისა.

შალვა-ალექსი მესხიშვილი გარდაიცვალა 1960 წლის 18 ივნისს.



## 4 შალვა ნუცუბიძე
## (1888-1969)

საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი, ფილოლოგი და ფილოსოფოსი დაიბადა წყალტუბოს რაიონის სოფ. ფარცხანაყანებში.

საშუალო განათლების შემდეგ დაამთავრა ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტი (1910 წ.), შემდეგ ლაიფციგის უნივერსიტეტი, სადაც მიენიჭა ფილოსოფოსის დოქტორის წოდება (1915 წ.)

შალვა ნუცუბიძე სხვადასხვა წლებში იყო: ქართული ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთი ჩამომყალიბებელი; პეტერბურგის უნივერსიტეტის ლექტორი; მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე; ლაიპციგის უნივერსიტეტის პროფესორი.

შალვა ნუცუბიძემ ორმოცდაათამდე სამეცნიერო ნაშრომი და წიგნი მიუძღვნა ქართული ფილოსოფიის, სოციალური კულტურის და ისტორიის საკითხების კვლევას.

შალვა ნუცუბიძე გახლდათ საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე და წითელი დროში ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 1969 წლის 6 იანვარს. დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში.

## 5 შალვა ამირანაშვილი
## (1899-1975)

ტიტულებისა და სტატუსების უბრალო ჩამოთვლაც კი საკმარისია წარმოვიდგინოთ თუ რამდენად დიდი და ღირსეული პიროვნება გახლდათ შალვა ამირანაშვილი: მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნე, მოღვაწეობდა მოსკოვში და ლენინგრადში; საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას თსუ-ში და სამხატვრო აკადემიაში. იყო ისტორიის კათედრის გამგე, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი და ა.შ. შალვა ამირანაშვილი იყო ქართული ხელოვნების



ისტორიის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი. იგი მონაწილეობდა (1945 წ.) იმ დელეგაციის საქმიანობაში, რომელმაც საფრანგეთიდან ჩამოიტანა ეროვნული განძი, გატანილი მენშევიკების ხელისუფლებაში ყოფნის დროს.

ბატონ შალვას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის კულტურის ძეგლთა შეგროვებისა და დაცვის საქმეში. იგი გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრკ-ს მეც. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს წევრი; იყო ასევე მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე; ლენინის, წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენების კავალერი.

დაკრძალულია თბილისში, დიდუბის პანთეონში.



## 6 შალვა ჭანკოტაძე (1902-1965)

ავიაციის გენერალ-მაიორი შალვა ლავრენტის ძე ჭანკოტაძე დაიბადა ქ. გორში 1902 წლის 24 იანვარს.

დაამთავრა სერპუხოვის საჰაერო ბრძოლებისა და ბომბდამშენების ექსპლუატაციის უმაღლესი სასწავლებელი. დიდი სამამულო ომის წლებში (1941-45) იყო განსაკუთრებული დივიზიის ხელმძღვანელი. იყო საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი, ხოლო უფრო ადრე, სსრკ-ს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

თავგანწირული ბრძლებისა და დაუღალავი შრომისათვის მიღებუ-

ლი აქვს უამრავი ორდენი თუ მედალი, მათ შორის ლენინისა და გრიუნვალდის ჯვრის ორდენები.

გახლდათ საქართველოს უმაღლესი საბჭოს სამგზის მოწვევის დეპუტატი.

გარდაიცვალა 1975 წლის 21 თებერვალს. დაკრძალულია თბილისის ვაკის სასაფლაოზე.



## 7 შალვა აზმაიფარაშვილი (1903-1957)

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საპატიო ნიშნის ორდენის კავალერი, პედაგოგი, კომპოზიტორი და დირიჟორი, უმაღლესი საბჭოს ორგზის მოწვევის დეპუტატი შალვა აზმაიფარაშვილი დაიბადა 1903 წლის 7 იანვარს ქ. თბილისში.

უკრავდა სასულე და სიმფონიურ ორკესტრებში. იყო ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ჯერ დირიჟორი, შემდეგ მთავარი დირიჟორი. ხელმძღვანელობდა სახელმწიფო რადიოს სიმფონიურ ორკესტრსაც. მისი მუსიკალური ხელმძღვანელობით დაიდგა მრავალი ოპერა. ავტორია ასევე მრავალი მუსიკალური ნაწარმოების.

გარდაიცვალა 54 წლის ასაკში. დაკრძალულია ქ. თბილისში, დიდუბის პანთეონში.

## 8 შალვა ხერხეულიძე

დაიბადა ქ. ბაქოში 1908 წლის 21 მაისს. დაამთავრა ქ. ქუთაისის ინდუსტრიული ტექნიკუმი, ხოლო შემდეგ თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი; 1925 წლიდან მონაწილეობდა სახალხო თეატრებისა და მუშათა კლუბების სპექტაკლებში. პროფესიულ სასცენო მოღვაწეობას



შეუდგა 1933 წლიდან. მუშაობდა ფოთის, სიღნაღის, ხაშურის, ბორჯომის, ბაქოს ქართველთა თეატრში და გორის სახელმწიფო თეატრში. თეატრსა და კინოფილმებში შესრულებული აქვს 200-ზე მეტი როლი.

შალვა ხერხეულიძე გახლდათ საქართველოს დამსახურებული არტისტი (1950), შემდეგ სახალხო არტისტი (1965 წლიდან).

გარდაიცვალა 1993 წელს.

## 9 შალვა აბზიანიძე (1952-2015)



მეცნიერი, პოლიტიკოსი, პედაგოგი, ფილოსოფოსი.

დაიბადა ქ. თბილისში 1952 წ. 8 აგვისტოს. საშუალო განათლების შემდეგ, წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწუფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი.

1974 წლიდან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორანტი, უფროსი ლაბორანტი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; 1981 წლიდან ამავე უნივერსიტეტის სოციალური ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი და განახლებული ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი; პარლამენტის წევრი საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო“-დან; ეკონომიკური რეფორმების კომისიის მდივანი. ხელი აქვს მოწერილი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

შალვა აბზიანიძე გახლდათ საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-1991)

გარდაიცვალა 63 წლის ასაკში (2015.31.VIII). დაკრძალულია მშობლიურ ქალაქში.

### თაყვანისმცემელი!

## შალვა მურადაშვილი



შალვა მურადაშვილი დაიბადა 1980 წლის 26 თებერვალს. ბავშვობა გაატარა სოფელ ახალხიზაში (ამჟამად სოფ. „ბეთლემი“).

არის კომპიუტერული პროგრამების სპეციალისტი, მუშაობს გრაფიკული დიზაინის მიმართულებით. ასევე მუშაობს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ ცენტრში მონაცემთა ბაზების მენეჯერად.

ამჟამად ცხოვრობს გორში. ჰყავს მეუღლე – მაია ტურაშვილი და ორი შვილი – ანიტა და ლუკა.











